„დამტკიცებულია“ სსიპ - საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის
2023 წლის 06 ნოემბრის N106 ბრძანებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოების დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (,,საქსტატის'') ტერიტორული ორგანოს - ბიუროების სტატუსს, საქმიანობის წესს, ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს, ფუნქციონირების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.ტერიტორიული ორგანო არის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში – საქსტატი) სტრუქტურული ერთეული (შემდგომში - ბიურო).

2. ბიურო მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების შესრულებისას მოქმედებს საქსტატის სახელით.

3. ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონით, საქტატის დებულებით, საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საქსტატის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ბიურო ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის ან/და აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილი (კურატორი) მოადგილის (ხელმძღვანელი პირები) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურეობრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. საქსტატის ტერიტორიალური ორგანოები და მათი სამოქმედო ტერიტორია

1. საქსტატის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) თბილისის სტატისტიკის ბიურო;

ბ) აჭარის სტატისტიკის ბიურო;

გ) გურიის სტატისტიკის ბიურო;

დ) იმერეთის სტატისტიკის ბიურო;

ე) კახეთის სტატისტიკის ბიურო;

ვ) მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო;

ზ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო;

თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო;

ი) სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო;
კ) ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო;

ლ) შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო.

2. ბიუროების სამოქმედო ტერიტორიებია**:**

ა) თბილისის სტატისტიკის ბიურო - ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ვაკის, საბურთალოს, გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, მთაწმინდის, ისანის, სამგორის და კრწანისის რაიონების ტერიტორიები;

ბ) აჭარის სტატისტიკის ბიურო - – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიები;

გ) გურიის სტატისტიკის ბიურო - ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

დ) იმერეთის სტატისტიკის ბიურო – ქალაქ ქუთაისის, წყალტუბოს, ბაღდათის, ზესტაფონის, ჭიათურის, სამტრედიის, თერჯოლის, ხარაგაულის, ტყიბულის, საჩხერის, ვანის და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

ე) კახეთის სტატისტიკის ბიურო – გურჯაანის, თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

ვ) მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო - მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

ზ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო - ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო - – ქალაქ ფოთის, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის და მესტიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

ი) სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო –ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

კ) ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო – ქალაქ რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები;

ლ) შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო – გორის, ხაშურის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიები.

მუხლი 3. ბიუროს ფუნქციები ბიუროს

ფუნქციებია:

ა) ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე სტატისტიკური კვლევების ორგანიზება და განხორციელება;

ბ) სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი;

გ) სტატისტიკური ინფორმაციის ადგილობრივ მომხმარებლებთან და რესპონდენტებთან კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 4. ბიუროს უფლება-მოვალეობები

1. ბიურო წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისას უფლებამოსილია:

ა) ბიუროს კომპეტენციის ფარგლებში, საქსტატის საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე მოამზადოს და წარადგინოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია საქსტატის სტრუქტურაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომლებისგან;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს კონსულტაცია საქსტატის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების განცხადებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

ე) განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიუროს კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

2. ბიურო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე დებულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში საქსტატის ხელმძღვანელ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

გ) შეასრულოს საქსტატის ხელმძღვანელი პირების მითითებები და დავალებები.

მუხლი 5. ბიუროს ორგანიზაცია და მართვა

1. ბიუროს ხელძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი;

2. ბიუროს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ბიუროს საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ბიუროზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე და საქმიანობის სწორად წარმართვისათვის. კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია ბიუროსათვის გადაცემული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვის, მიზნობრივად და კანონიერად გამოყენებისთვის;

გ) წარმოადგენს ბიუროს მესამე პირებთან ურთიერთობისას;

დ) თვალყურს ადევნებს დაქვემდებარებული პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ანაწილებს მოვალეობებს ბიუროს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს. ახორციელებს შრომის დისციპლინის კონტროლს;

ე) ხელს აწერს ბიუროში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) წარუდგენს საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს წინადადებებს ბიუროს თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) ახორციელებს ბიუროსათვის გადაცემული ბეჭდების, შტამპებისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და შენახვის კონტროლს;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ბიუროს ამოცანების შესასრულებლად;

ი) აბარებს ანგარიშს აღმასრულებელ დირექტორს ან კურატორ მოადგილეს ბიუროს საქმიანობის შესახებ;

კ) საქსტატის სტრუქტურულ ერთეულებს წარუდგენს შენიშვნებს და წინადადებებს კითხვარების, მეთოდოლოგიის, კლასიფიკატორების, პროგრამული უზრუნველყოფისა და სხვა დოკუმენტების შესახებ;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში დაკისრებული ფუნქციებისა და ამაცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. ბიუროს უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ბიუროს ერთერთი თანამშრომელი საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1) წინამდებარე დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა ხორციელდება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

2) წინამდებარე დებულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას დებულების სხვა ნორმ(ებ)ის ნამდვილობაზე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებაში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.